სსიპ ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლის ხელბურთის კლუბის დებულება

მუხლი 1. კლუბის სტატუსი

სკოლაში ჩატარებული გამოკითხვით დადგინდა სკოლის ბაზაზე ხელბურთის კლუბის ჩამოყალიბების აუცილებლობა მოსწავლეების ჯანსაღი ცხოვრების განვითარებისთვის. ხელბურთი არის სპორტის სახეობა, რომელიც ადამიანს ანიჭებს ძალას, და ამყარებინებს თავის მტკიცე პოზიციას.
კლუბი წარმოადგენს სკოლის ბაზაზე დაფუძნებულ არაფორმალური განათლების სტატუსის მქონე ორგანიზაციას,რომელშიც გერთიანებულები არიან მოსწავლეეები სამოტივაციო განცხადების საფუძველზე, რომელსაც მშობელთან ერთად წარმოადგენენ.

მუხლი 2 კლუბის წევრების უფლებები და მოვალეობები

1 .სკოლა ვალდებულია დაიცვას მათი უფლებები და თავისუფლება, არ შეზღუდოს
მათი ქმედება მათი უფლებების დასაცავად.
2.კლუბის წევრს ევალება იყოს პასუხისმგებლიანი კლუბის საერთო ინტერესებიდან
გამომდინარე, იყოს კორექტული და პატივი სცეს სხვის აზრს, იზრუნოს სამოქმედო
გეგმის ყველა პუნქტის განხორციელებაზე.

მუხლი 3. კლუბის შემადგენლობითი სტრუქტურა

1. **კლუბს ხელმძღვანელობს** სკოლის სპორტის მასწავლებელი, რომელიც თანამშრომლობს მშობლებთან.
2. კლუბის შემადგენლობაში შედიან მე-8-12 კლასის მოსწავლეები.

მუხლი 4 კლუბის მიზანია

კლუბის მიზანია, მოსწავლეებისთვის ხელბურთის სწავლება.

მუხლი 5. ამოცანები

კლუბის ამოცანებია, მოსწავლეებისთვის სწრაფი, გუნდური გადაწყვეტილებების უნარების
განვითარება და ხელბურთის ტექნიკის დახვეწა.

მუხლი 6. განხორციელების გზები

1. სკოლაში კლასებს შორის შეჯიბრის ჩატარება
2.მოწვეული მენტორები ჩატარებენ მასტერ კლასებს ხელბურთში
3.მონაწილეობის მიღება სხვადასხვა სპორტული კლუბების მიერ გამოცხადებულ შეჯიბრებებში

მუხლი 7. სამიზნე ჯგუფი - ბენეფიციარები

კლუბი გათვლილია: მე-8, მე-10, მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეებისთვის.

მუხლი 8. სამოქმედო გეგმა

1) კლუბის შექმნა
2) სავარჯიშო ადგილის შერჩევა (სპორტული დარბაზი);
3) მენტორების მოწვევა მასტერკლასის ჩასატარებლად
4) აქტიური მუშაობის დაწყება

მუხლი 9. განმახორციელებელი ჯგუფები

კლუბს მართავენ და ორგანიზებას უწევენ, სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის საბჭოს წევრები და მოწვეული მენტორები.